



## ცეცხლის ალში

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და  
დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში  
განვითარებული კონფლიქტის დროს

## მოკლე შინაარსი

### ზოგადი მიმოხილვა

შეიარაღებული კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოში ერთ კვირას გაგრძელდა, მაგრამ მისი შედეგები ბევრი ადამიანისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე საგრძნობი იქნება. კონფლიქტის შედეგად დაიღუპნენ ადამიანები, განადგურდა მშვიდობიანი მოსახლეობის სახლები, სარჩო-საბადებელი და მთელი თემები სამხრეთ ოსეთსა და ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ქართულ სოფლებში. კონფლიქტის დროს ყველა მონაწილე მხარის მიერ მოხდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების უგულებელყოფა.

სამხრეთ ოსეთი საქართველოს სეპარატისტული რეგიონია. რუსეთთან მას საერთო საზღვრის გარდა მჭიდრო კავშირებიც აქვს. შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც 2008 წლის გაზაფხულიდან მზადდებოდა, 7 აგვისტოს დაიწყო საქართველოს სამხედრო ძალების შესვლით სამხრეთ ოსეთში. მეორე დღეს რუსეთმა საპასუხო სამხედრო ოპერაცია დაიწყო. კონფლიქტი 15 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტამდე გაგრძელდა და დამთავრდა ქართული სამხედრო შენაერთების სამხრეთ ოსეთიდან უკან დახვევით და რუსეთის მიერ ამ რეგიონისა და, დროებით, საქართველოს არასადავო

ტერიტორიების<sup>1</sup> ოკუპაციით. ერთკვირიანმა ღია საბრძოლო მოქმედებებმა და მომდევნო კვირების განმავლობაში დაზარალებულ და დაუცველ რეგიონებში განხორციელებულმა ძალადობამ ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ათიათასობით ადამიანი გახდა იძულებული, საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინა და აგრეთვე მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა სამოქალაქო ობიექტებსა და მშვიდობიანი მოსახლეობის კერძო საკუთრებას. დღეს მწვავედ დგას ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის აუცილებლობის საკითხი, ისევე, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფისა ამ რაიონებში, რათა მოხდეს დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება საკუთარ სახლებში.

“Human Rights Watch”- მა რამდენიმე კვლევითი მისია განახორციელა რუსეთსა და საქართველოში, მათ შორის სამხრეთ ოსეთშიც. ორგანიზაციის მკვლევარების მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო კონფლიქტის სამივე მხარის მიერ ჩადენილ დარღვევებზე. ჩვენ გავესაუბრეთ 460-ზე მეტ დაზარალებულს, თვითმხილველსა და სხვა პირებს, შევისწავლეთ კონფლიქტის შესახებ რუსეთსა და საქართველოში გავრცელებული ინფორმაცია (და დეზინფორმაციაც). საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც “Human Rights Watch”- მა ეს კონფლიქტი შეისწავლა, მოიცავს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, ძირითადად, ჟენევის კონვენციებს, რომლებიც ეხება საომარ მოქმედებებს, ჰუმანურ მოპყრობასა და ოკუპაციას, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირებს და მათი დაბრუნების უფლებას ეხება.

“Human Rights Watch”- მა დაადგინა:

---

<sup>1</sup> ტერმინი „არასადავო ტერიტორიები“ ამ ანგარიშში გამოიყენება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარდა საქართველოს სხვა დანარჩენი ტერიტორიების აღსანიშნავად. მიმდინარეობს დავა ამ ორივე ტერიტორიის სუვერენიტეტთან დაკავშირებით. ისინი დამოუკიდებლობას მოითხოვენ.

- რიგ შემთხვევებში ქართულმა სამხედრო შენაერთებმა არადამიზნებადი იარაღი და არაპროპორციული ძალა გამოიყენეს სამხრეთ ოსეთზე საარტილერიო თავდასხმებისას, ზოგიერთ შემთხვევაში კი არაპროპორციულ ძალას სახმელეთო ოპერაციების დროსაც მიმართეს. ამ შემთხვევათა უმრავლესობა გამოიწვია ქართული მხარის მიერ მრავალჯერადი რაკეტგამშვები სისტემის გამოყენებამ, რაც შეუძლებელს ხდის სამოქალაქო და სამხედრო ობიექტების ერთმანეთისგან განსხვავებას მშვიდობიანი მოქალაქეებით დასახლებულ ადგილებში. შედეგად დაიღუპა ან დაიჭრა ბევრი სამოქალაქო პირი.
- რიგ შემთხვევებში სამხრეთ ოსეთში და საქართველოს არასადავო ტერიტორიაზეც რუსეთის სამხედრო ძალებმა დაარღვიეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები საჰაერო და საარტილერიო თავდასხმებისას და ტანკებით განხორციელებული არადამიზნებადი შეტევების დროს, რის შედეგადაც ბევრი სამოქალაქო პირი დაიღუპა და დაიჭრა.
- რუსეთისა და საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს კასეტური იარაღი, რამაც მსხვერპლი გამოიწვია მშვიდობიან მოსახლეობაში და გადარჩენილებსაც საფრთხე შეუქმნა იმ უამრავ „დანაღმულ ველზე“, სადაც ჯერ კიდევ აუფეთქებელი ჭურვების ნაწილებია დარჩენილი. კასეტური ბომბების გამოყენება და მშვიდობიან მოსახლეობაზე მათი ზემოქმედება ნათლად მოუთითებს, თუ რატომ მოაწერა 94-მა ქვეყანამ ხელი 2008 წლის დეკემბერში ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც იკრძალება ამ იარაღის გამოყენება. ამ ხელშეკრულების ტექსტის შეთანხმება კონფლიქტამდე სულ რამდენიმე თვით ადრე მოხდა.
- როგორც ოკუპანტმა ძალამ საქართველოში, რუსეთმა საერთოდ ვერ შეასრულა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით დაკისრებული ვალდებულება – შესაძლებლობისამებრ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგი და

უსაფრთხოება მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, და ამის ნაცვლად საშუალება მისცა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს და ოს მონაღლისეებს, გაუმართლებელი და ფართომასშტაბიანი მაროდორობა ეწარმოებინათ, გადაეწვათ ქართველთა საცხოვრებელი სახლები და მოეკლათ, ეცემათ, გაეუპატიურებინათ და დაეშინებინათ ადამიანები.

- მას შემდეგ, რაც საქართველოს სამხედრო შენაერთები 10 აგვისტოს სამხრეთ ოსეთიდან გამოვიდნენ, სამხრეთ ოსეთის შეარაღებული ძალები რამდენიმე კვირის განმავლობაში მიზანმიმართულად და სისტემატურად ანადგურებდნენ ეთნიკური ქართველების სოფლებს სამხრეთ ოსეთის იმ რაიონებში, სადაც საქართველოს მთავრობის იურისდიქცია ვრცელდებოდა. შეიარაღებული ოსები ძარცვავდნენ, სცემდნენ, აშინებდნენ ეთნიკურ ქართველებს და უკანონოდ აპატიმრებდნენ მათ. ოსებმა რამდენიმე ადამიანი გამიზნულად მოკლეს ეთნიკური და პოლიტიკური ნიშნით, რათა იძულებული გაეხადათ ამ რაიონების დანარჩენი მოსახლეობა, სამუდამოდ დაეტოვებინა მშობლიური სოფლები და საკუთარი სახლები. ამ ფაქტებზე დაყრდნობით “Human Rights Watch”-მა დაასკვნა, რომ სამხრეთ ოსეთის შეარაღებული ფორმირებები ამ სოფლებში ეთნიკური წმენდის განხორციელებას შეეცადნენ. ქართული სოფლების დაახლოებით 22 000 მაცხოვრებელი, რომელთა უმრავლესობა სამხრეთ ოსეთიდან კონფლიქტის დაწყებამდე გაიქცა, დღემდე დევნილობაში იმყოფება.
- ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების ჩადენით სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მძიმედ დაარღვიეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დადგენილი მრავალი ვალდებულება, რისთვისაც აუცილებლად უნდა დადგეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი და, შესაბამის შემთხვევებში, აღიძრას სამართლებრივი დევნა სამხედრო დანაშაულისათვის. თუ რიგი ამ აკრძალულ ქმედებათაგან მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან და სისტემურ ხასიათს ატარებდა, ამ ქმედებებზე შეიძლება

აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე.

- ახალგორის რაიონის (სამხრეთ ოსეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე რაიონი, რომელიც ძირითადად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული და ამჟამად რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ არის ოკუპირებული) მაცხოვრებლებს ოსური უკანონო შეიარაღებული ფორმირებები ემუქრებიან და აშინებენ. ამას გარდა, მოსახლეობა ღელავს საქართველოსთან ადმინისტრაციული საზღვრის შესაძლო ჩაკეტვის გამოც. ამ ორივე ფაქტორის გამო ღღეისათვის ახალგორის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იძულებულია, საქართველოს არასადავო ტერიტორიაზე გადავიდეს საცხოვრებლად.
- რუსეთის მიერ საქართველოს იმ ტერიტორიის ოკუპაციის დროს, რომელიც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთით მდებარეობს, ოსმა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა გამარცხეს, დაანგრეს და დაწვეს მრავალი სახლი. მათ შეგნებულად მოკლეს სულ მცირე ცხრა სამოქალაქო პირი და გააუპატიურეს სულ მცირე ორი. რუსული შეიარაღებული ძალები ზოგ შემთხვევაში უშუალოდ მონაწილეობდნენ ძარცვასა და ნგრევაში, როგორც პასიური თვითმხილველები, ან როგორც აქტიური მონაწილეები, ანდა ისინი ოსი უკანონო შეიარაღებული ძალების ტრანსპორტირებას ახდენდნენ სოფლებში.
- შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქართველმა სამხედროებმა 32 დაკავებული ოსიდან სცემეს და ცუდად მოეპყრნენ სულ მცირე ხუთს.
- სამხრეთ ოსეთიდან ქართული სამხედრო ნაწილების გასვლის შემდეგ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა, ზოგჯერ რუსებთან ერთად, სულ მცირე 159 ეთნიკური ქართველი თვითნებურად დააკავეს. ოსურმა შეიარაღებულმა ძალებმა დაკავებულთაგან მოკლეს სულ მცირე ერთი და თითქმის

ყველა დანარჩენს არაადამიანურად და ღირსების შემლახველად ეპყრობოდნენ დაკავების ადგილებში, სადაც ადამიანისთვის შეუფერებელი პირობები იყო. მათ აგრეთვე აწამეს სულ მცირე ოთხი სამხედრო ტყვე და სიკვდილით დასაჯეს სულ მცირე სამი. თითოეული ეს ქმედება წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს, რისთვისაც აუცილებელად უნდა დადგეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი.

წინამდებარე ანგარიში კონფლიქტის თითოეული მონაწილე მხარის მიერ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შესრულებას აფასებს და მიზნად არ ისახავს მხარეების მიერ ჩადენილი ქმედებების ურთიერთშედარებას. ერთი მხარის მიერ ჩადენილი დანაშაულის მხილება ნამდვილად არ ამართლებს და არ ამსუბუქებს მეორე მხარის მიერ ჩადენილ დარღვევას. იმას, თუ ვინ დაიწყო კონფლიქტი, ნამდვილად არა აქვს კავშირი მხარეების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა სამართლის მოთხოვნების დაცვასთან და სამართალდამრღვევების პასუხისმგებაში მიცემასთან. ისინი, ვისაც აინტერესებს, თუ რომელი მხარე მოიქცა უარესად ან რომელმა ჩაიდინა უფრო მეტი დანაშაული, ან ვინ არის პასუხისმგებელი კონფლიქტის დაწყებაზე, ვერ იპოვიან პასუხებს წინამდებარე ანგარიშში.

\* \* \*

“Human Rights Watch”-ი მოუწოდებს რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებებს, გამოიძიონ და პასუხისმგებაში მისცენ მათი შეიარაღებული ძალებიდან ის პირები, ვინც დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, მათ შორის ისინიც, ვინც სამხედრო დანაშაული ჩაიდინა. ვინაიდან რუსეთს გააჩნია რეალური კონტროლი სამხრეთ ოსეთზე, ის აგრეთვე ვალდებულია, გამოიძიოს და სამართალში მისცეს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები, ვინც დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის

ნორმები. რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებებმა უნდა აანაზღაურონ მათი შეიარაღებული ძალების მიერ საქრთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით გამოწვეული სამოქალაქო ზარალი და ნგრევა.

ათასობით ადამიანის მუდმივი იძულებითი გადაადგილება დაუშვებელია. რუსეთი, როგორც მხარე, რომელსაც გააჩნია სამხრეთ ოსეთზე ფაქტობრივი კონტროლი, ვალდებულია, უზრუნველყოს თითოეული იქ მცხოვრები ადამიანის უსაფრთხოება, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა. ეს განსაკუთრებით სწრაფად უნდა მოხდეს ახალგორის რაიონში. იძულებით გადაადგილებულ ეთნიკურ ქართველებს უნდა მიეცეთ უფლება, ნებაყოფლობით დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს. რუსეთმა საჯაროდ უნდა დაუჭიროს მხარი კონფლიქტის მიზეზით დევნილ პირთა უფლებას – ღირსეულად და უსაფრთხოდ დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს სამხრეთ ოსეთში, მათი ეთნიკური წარმომავლობისა და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად. რუსეთმა უნდა დაარწმუნოს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება, რომ მანაც აღიაროს ეს საჯაროდ და ხელი შეუწყოს დაბრუნების პროცესს.

## **შეარაღებული კონფლიქტის მოკლე ქრონოლოგია**

რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დამაბული მდგომარეობის ესკალაციას და სამხრეთ ოსეთში ქართველ და ოს სამხედროებს შორის მომხდარ შეტაკებებს ქართული საჯარისო შენაერთების მიერ 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალზე (სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი) და მიმდებარე სოფლებზე საარტილერიო შეტევა მოჰყვა. ბრძოლაში ქართული სახმელეთო და საჰაერო ძალებიც ჩაერთვნენ. რუსეთის საპასუხო სამხედრო შეტევა მეორე დღეს დაიწყო. მათი განცხადებით, ისინი სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობოების კორპუსისა და იმ მაცხოვრებელთა დასაცავად შევიდნენ, რომლებმაც ბოლო წლებში რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს. 8 აგვისტოს სამხრეთ ოსეთში შემოვიდნენ რუსეთის 58-ე არმიის სახმელეთო შენაერთები. რუსეთმა საარტილერიო და საჰაერო იერიშები მიიტანა სამხრეთ ოსეთში და საქართველოს

არასადავო ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებზე. ბრძოლაში სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალებიც მონაწილეობდნენ, რომელთა შემადგენლობაც მრავალგვაროვანი იყო – სამხრეთ ოსეთის თავდაცვისა და საგანგებო ვითარების სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის უშიშროების კომიტეტის ნაწილები, აგრეთვე ოსი მშვიდობისმყოფლები და მონაწილეები.

საქართველოს მთავარსარდლობამ 10 აგვისტოს უბრძანა თავის ჯარებს სამხრეთ ოსეთის დატოვება. ორი დღის შემდეგ რუსეთის ჯარები შევიდნენ და დაიკავეს საქართველოს არასადავო ტერიტორიები სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთით, მათ შორის ქალაქი გორიც. სამხდრო ოპერაცია დასავლეთ საქართველოშიც განხორციელდა. რუსეთის ჯარებმა გადმოკვეთეს სეპარატისტული რეგიონის – აფხაზეთის (ამ რეგიონსაც რუსეთი უმაგრებს ზურგს) ტერიტორია და დაიკავეს დასავლეთ საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქები: ფოთი, ზუგდიდი და სენაკი.

რუსეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ჯარების გაყვანა საქართველოს არასადავო ტერიტორიებიდან 10 ოქტომბერს დაასრულა, როგორც ამას რუსეთ-საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 15 აგვისტოს დადებული შეთანხმება ითხოვდა. აღნიშნული შეთანხმება ევროკავშირის პრეზიდენტობის მქონე ქვეყნის საფრანგეთის შუამდგომლობით გაფორმდა. საქართველოს ხელისუფლება უარყოფს რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და დასტურად რუსი სამხედროების სოფელ პერევესა და ახალგორის რაიონში ყოფნა მოჰყავს.

## **საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი დარღვევები**

*ძალის განუზღვრელი და არაპროპორციული გამოყენება*



ცხინვალისა და მიმდებარე სოფლების დაბომბვისას, ასევე სახმელეთო ოპერაციების დროს, საქართველოს სამხედრო შენაერთები ხშირად არ ასრულებდნენ ვალდებულებას, რომ ერთმანეთისგან გაერჩიათ სამხედრო ობიექტები, რომლებიც შეიძლება ყოფილიყო ლეგიტიმური სამიზნე, და სამოქალაქო პირები, რომელთა მიზანში ამოღება დაუშვებელია. სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ არ იქნა მიღებული ყველა შესაძლო ზომა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი სამოქალაქო მსხვერპლი. მართალია, “Human Rights Watch”-მა ვერ მოიძია ისეთი მტკიცებულება, რაც ქართული სამხედრო შენაერთების მიერ სამოქალაქო პირებზე განზრახ შეტევას დაადასტურებდა, ჩვენი გამოკვლევებიდან “Human Rights Watch”-მა დაასკვნა, რომ სამხედრო მოქმედებების დროს ქართულმა შენაერთებმა გულგრილობა და უგულისყურობა გამოიჩინეს სამოქალაქო პირთა დაცვის საქმეში, რამაც დიდი ზიანი მიაყენა სამოქალაქო ობიექტებსა და საკუთრებას და მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლიც გამოიწვია.

მხოლოდ მშვიდობიან მოსახლეობაში დაჭრილთა და დაღუპულთა არსებობის ან სამოქალაქო ობიექტების განადგურების ფაქტი არ მიუთითებს იმაზე, რომ დაირღვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები. მნიშვნელოვანია დადგინდეს, არსებობდა თუ არა იმ მომენტისთვის ლეგიტიმური სამხედრო სამიზნე შეტევის განხორციელების არეალში, და როგორ განხორციელდა მასზე დარტყმა. საქმის გარემოებები ყოველთვის არ იძლეოდა ამის დადგენის შესაძლებლობას. თუმცა სამხრეთ ოსეთზე განხორციელებული შეტევების უმრავლესობა ნამდვილად შეიძლება ქართულ სამხედრო ძალებს მიეწეროს იმაზე დაყრდნობით, თუ რას მოგვეთხოვნიან თვითმხილველები და რა მიმართულებით ხორციელდებოდა შეტევა, ასევე, ქართული სამხედრო ძალების გადაადგილების ფონზე მიყენებული ზარალის ქრონოლოგიის გათვალისწინებით.

ბევრ შემთხვევაში "Human Rights Watch"-ის მკვლევარებმა შეტყვის განხორციელების არეალში სამხედრო ობიექტების არსებობის ფაქტები ვერ აღმოაჩინეს. მაგრამ ასევე იყო ბევრი შემთხვევა, როდესაც ქართულმა მხარემ შეტყვა მიიტანა ლეგიტიმურ სამხედრო სამიზნეზე, რამაც სამხედრო და ზოგან გარდაუვალი თანმდევი სამოქალაქო დანაკარგებიც გამოიწვია. ჩვენს მიერ შესწავლილ რამდენიმე შემთხვევაში არსებულ ფაქტებს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ქართულმა მხარემ ზოგიერთ ლეგიტიმურ სამხედრო სამიზნეზე იერიშის მიტანისას შესაძლოა არაპროპორციული ძალა გამოიყენა, ვინაიდან მოსალოდნელი სამოქალაქო მსხვერპლი ან სამოქალაქო ობიექტების განადგურება აღემატებოდა შესაძლო სამხედრო მონაპოვარს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალისა და მიმდებარე სოფლების მასობრივ დაბომბვას არადამიზნებადი ხასიათი ჰქონდა. ქართულმა ჯარებმა რიგ სხვადასხვა ადგილას განლაგებულ და სხვადასხვა სამხედრო ობიექტებს ისე შეუტყეს, როგორც ერთ სამხედრო ობიექტს ისეთ ტერიტორიაზე, სადაც კონცენტრირებული იყო მშვიდობიანი მოსახლეობა და სამოქალაქო ობიექტები. რიგ შემთხვევებში ქართველმა სამხედროებმა საარტილერიო იერიში ისე მიიტანეს, რომ არ მიუღიათ ყველა შესაძლო ზომა სამოქალაქო მსხვერპლის მინიმუმამდე შესამცირებლად.

ქართული მხარის მიერ დასახლებულ პუნქტებში მრავალჯერადი გამოყენების რაკეტამშვეები დანადგარების, კერძოდ, BM-21-ის („გრადის“) გამოყენება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპის – სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების გარჩევის – დარღვევას წარმოადგენს. შეუძლებელია ამ იარაღის დამიზნება ისეთი სიზუსტით, რომ მხოლოდ სამხედრო ობიექტები განადგურდეს. მათი ზემოქმედების ფართო არეალი ამ იარაღის გამოყენებას შეუთავსებელს ხდის ომის კანონებთან იმ ადგილებში, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა ცხოვრობს ან სადაც სამოქალაქო ობიექტებია (მაგალითად, სკოლები და საავადმყოფოები) განლაგებული. ამ იარაღის გამოყენება დასახლებულ პუნქტებში არადამიზნებადი ხასიათისაა და, შესაბამისად, აკრძალულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით.

ქართულმა სამხედრო შენაერთებმა იერიში მიიტანეს იმ ავტომანქანებზეც, რომლებითაც 8-10 აგვისტოს ოსი სამოქალაქო პირები კონფლიქტის ზონიდან თავის დაღწევას ცდილობდნენ. ამის შედეგად დაიღუპნენ და დაიჭრნენ მშვიდობიანი მოქალაქეები. ამ ანგარიშში აღწერილი ასეთი შემთხვევები მიუთითებს, რომ სულ მცირე არაპროპორციული ძალა იქნა გამოყენებული და არ იქნა მიღებული სათანადო ზომები, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი სამოქალაქო მსხვერპლი.

### *სახმელეთო ჯარების მოქმედება*

"Human Rights Watch"-ის გამოძიების შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართული სამხედრო ძალების სახმელეთო ოპერაციის განმავლობაშიც იყო შეტევები, რომელთა დროსაც ირღვეოდა პროპორციული ძალის გამოყენების პრინციპი: ეს იყო შემთხვევები, როდესაც ქართული ტანკები უტევენ შენობებს, სადაც იმ დროს შეიძლებოდა ოსი მებრძოლები ყოფილიყვნენ, მაგრამ რომელთა სარდაფებში ბევრი სამოქალაქო პირი აფარებდა თავს. რამდენიმე ოსი სამოქალაქო პირი საუბრობდა ქართველი ჯარისკაცების მიერ მაროდღობის ფაქტებზე, თუმცა სხვაგვარი სახმელეთო შეტევის დროს ქართული ჯარების მიერ ცუდად მოპყრობის კონკრეტული შემთხვევები არ აღუნიშნავთ. მაგრამ ქართველი სამხედროების მიერ დაკავებულმა ტყვეებმა თქვეს, რომ დაპატიმრების დროს მათ უხეშად მოექცნენ.

### **დარღვევები რუსული სამხედრო ძალების მიერ**

#### *ძალის განურჩეველი (არადამიზნებადი) და არაპროპორციული გამოყენება*

რუსეთის სამხედრო ძალებმა საქართველოს არასადავო ტერიტორიებსა და სამხრეთ ოსეთს საჰაერო დარტყმებით, საარტილერიო ცეცხლითა და ტანკებით შეუტიეს. ამ დროს გამოყენებული ძალა ზოგჯერ განურჩეველი (არადამიზნებადი) ხასიათისა იყო, რამაც სამოქალაქო პირების დაღუპვა და დაშავება გამოიწვია. საჰაერო და

საარტილერიო შეტევების დროს რუსულმა ძალებმა არ შეასრულეს ვალდებულება, მიეღოთ ყველა შესაძლო ზომა იმის დასაზუსტებლად, რომ ობიექტები, რომლებზეც იერიში მიჰქონდათ, სამხედრო იყო (და არა მოქალაქეები ან სამოქალაქო ობიექტები) და, ასევე, მიეღოთ ყველა შესაძლო ზომა მოქალაქეებისათვის მიყენებული ზიანის მინიმუმამდე შესამცირებლად. იყო შემთხვევა, როდესაც რუსულმა ჯარებმა სამედიცინო პერსონალზე მიიტანეს იერიში, რაც ჟენევის კონვენციების უხეში დარღვევა და სამხედრო დანაშაულია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თავისთავად მოქალაქეთა შორის მსხვერპლის ან სამოქალაქო ობიექტების განადგურების ფაქტი არ ნიშნავს ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას. თითოეული შეტევის შემთხვევაში "Human Rights Watch"-ი ცდილობდა, დაედგინა, იყო თუ არა ლეგიტიმური სამხედრო ობიექტი შეტევის სამიზნე არეალში და თუ იყო, როგორ იქნა ამ ობიექტზე იერიში მიტანილი.

8-დან 12 აგვისტომდე რუსული ჯარები უტევდნენ სამხედრო ობიექტებს, რომლებიც განლაგებული იყო ქალაქ გორში და ეთნიკური ქართველების სოფლებში როგორც სამხრეთ ოსეთში, ასევე საქართველოს არასადავო ტერიტორიაზე. ამ შეტევებს ხშირად შედეგად სამოქალაქო მსხვერპლი და სამოქალაქო ობიექტების (კერძო სახლებისა და საცხოვრებელი კორპუსების) ნგრევა მოჰყვებოდა. სამხედრო სამიზნეები სამოქალაქო ობიექტებისაგან სხვადასხვა მანძილით იყო დაშორებული. რამდენიმე შემთხვევაში სამხედრო სამიზნეები მოქალაქეებსა და მოქალაქეთა სახლებთან რამდენიმე მეტრში მდებარეობდა და მათზე შეტევები მნიშვნელოვანი სამოქალაქო მსხვერპლით დასრულდა.

ზოგ შემთხვევაში კი სამხედრო სამიზნეები ერთი კილომეტრით იყო დაშორებული სამოქალაქო ობიექტებისაგან და, მიუხედავად ამისა, მათზე იერიშისას მაინც იყო სამოქალაქო მსხვერპლი. ასეთ ობიექტებზე დარტყმების მიტანისას რუსეთის სამხედრო ძალები ვალდებულნი იყვნენ, მკაცრად დაეცვათ პროპორციულობის პრინციპი და ყველა შესაძლო ზომა მიეღოთ, რათა შეეფასებინათ, ხომ არ

აღმატებოდა შესაძლო სამოქალაქო მსხვერპლი სავარაუდო სამხედრო მონაპოვარს. როგორც ჩანს, შეტევების დროს პროპორციულობის პრინციპი ბევრ შემთხვევაში დაირღვა.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა "Human Rights Watch"-მა იერიშის არეალის მიმდებარე ტერიტორიაზე ვერანაირი ლეგიტიმური სამხედრო სამიზნე ვერ აღმოაჩინა დარტყმის მომენტისთვის. შეტევის სამიზნის სიახლოვეს რაიმე სამხედრო ობიექტის არარსებობა გვაფიქრებინებს, რომ რუსმა სამხედროებმა არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება, მიეღოთ ყველა შესაძლო ზომა, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ სამიზნე სამხედრო და არა სამოქალაქო ობიექტები იყო; რომ მათ უგულებელყვეს სამიზნე ზონაში მოქალაქეების არსებობა; ანდა რომ რუსული ძალები განგებ უმიზნებდნენ სამოქალაქო ობიექტებს.

სამოქალაქო მანქანების წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების რამდენიმე შემთხვევაში რუსმა სამხედროებმა შესაძლოა განგებ მიიტანეს იერიში სამოქალაქო პირებზე. სამოქალაქო პირებზე მიზანმიმართული შეტევა სამხედრო დანაშაულია.

### *სახმელეთო ჯარების მოქმედება*

რამდენიმე ადგილობრივმა მოსახლემ "Human Rights Watch"-ს უთხრა, რომ ბევრი რუსი სამხედრო, რომლებმაც საქართველოს არასადავო ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინეს, წესიერად იქცეოდა და ზოგ შემთხვევაში მათ დაიცვეს კიდევ სამოქალაქო მოსახლეობა ოსი სამხედროების, უკანონო ბანდ-ფორმირებების ან მაროდორებისაგან. მიუხედავად ამისა, რუსმა სამხედროებმა გარკვეული როლი ითამაშეს ოსი სამხედროების მიერ ქართველთა სახლების მასობრივ ძარცვაში. რუსი სამხედროები ხელს უწყობდნენ და მონაწილეობდნენ ამ სამხედრო დანაშაულებში, თუმცა შედარებით ნაკლებად გამოკვეთილი ფორმით, ვიდრე სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალები, მაგრამ ჩვენ გამოვიძიეთ ოთხი შემთხვევა, რომლებშიც რუსმა სამხედროებმა აქტიური და აშკარა როლი შეასრულეს მაროდორობაში.

"Human Rights Watch"-მა ასევე დოკუმენტურად დაადასტურა ისეთი შემთხვევები, როდესაც რუსული ტანკები ახლო მანძილიდან ესროდნენ მოქალაქეთა სახლებს.

*რუსეთის, როგორც ოკუპანტი სახელმწიფოს, პასუხისმგებლობა*  
რუსეთის ჯარები საქართველოში, მათ შორის სამხრეთ ოსეთში, რომელიც საქართველოს *de jure* ნაწილია, საქართველოს ხელისუფლებისგან ნებართვის ან მასთან შეთანხმების გარეშე შევიდნენ. აქედან გამომდინარე, რუსეთი ვალდებულია, დაიცვას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ოკუპაციის შესახებ, ვინაიდან რუსეთმა ფაქტობრივი კონტროლი დაამყარა საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებზე. რუსეთმა, როგორც ოკუპანტმა ძალამ საქართველოში, საერთოდ ვერ შეასრულა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით დაკისრებული ვალდებულება – შესაძლებლობისამებრ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება მის მიერ ფაქტობრივად კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამან შესაძლებლობა მისცა სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებსა და უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებს, დაეწყოთ თვითნებობა, მასობრივად გაემარცვათ და გადაეწვათ ეთნიკური ქართველების სახლები და მოეკლათ, ეცემათ, გაეუპატიურებინათ და დაეშინებინათ მშვიდობიანი მოსახლეობა. 13 აგვისტოს რუსი სამხედროების მიერ გზებზე ბარიერების აღმართვამ პრაქტიკულად შეაჩერა ოსური ძალების მიერ წარმოებული მაროდინობისა და სახლების გადაწვის კამპანია, მაგრამ ეს ბარიერები, გაუგებარი მიზეზით, ერთი კვირაში მოიხსნა.

## **დარღვევები სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ**

### *სამხრეთ ოსეთში*

სამხრეთ ოსეთიდან ქართული ჯარების გასვლისთანავე სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებმა და უკანონო შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა სამხრეთ ოსეთში საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფლების მიზანმიმართული და სისტემატური

განადგურების კამპანია წამოიწიეს, რაც გამოიხატებოდა მასობრივ და სისტემატურ დარცვისა და გადაწვაში, მშვიდობიანი მოსახლეობის ცემასა და დაშინებაში. 10 აგვისტოდან დაწყებული, მას შემდეგ, რაც რუსეთის სახმელეთო ჯარებმა სამხრეთ ოსეთის სრული ოკუპაცია მოახდინეს და საქართველოს არასადავო ტერიტორიაზე შესვლა დაიწიეს, ოსური სამხედრო ძალები რუსებს კვალდაკვალ მიჰყვნენ და ეთნიკური ქართველების სოფლებში შევიდნენ.

ამ სოფლებში ოსური სამხედრო ძალები შედიოდნენ სახლებში, სადაც ქართველ სამხედროებს ეძებდნენ, ქონებას იტაცებდნენ და სახლებს წვავენ. ისინი ასევე ფიზიკურად უსწორდებოდნენ სოფლებში დარჩენილ მოსახლეებს და ათეულობით ადამიანი დააპატიმრეს. "Human Rights Watch"-ს გააჩნია დაუდასტურებელი ინფორმაცია სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების გაუსამართლებლად მოკვლის სულ ცოტა ორი შემთხვევის შესახებ, რომლებიც დარცვის დროს მოხდა. იმ დროისათვის, როდესაც სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალები ამ რამდენიმე ქართულ სოფელში შედიოდნენ, რუსულ ჯარებს, უმეტეს შემთხვევაში, უკვე გავლილი ჰქონდათ ეს სოფლები. სხვა შემთხვევებში რუსეთის ჯარები, როგორც ჩანს, სამხრეთ ოსეთის ძალებს საფარით უზრუნველყოფდნენ, სანამ ისინი ამ დანაშაულებს ჩადიდნენ.

11 აგვისტოსთვის თავდასხმები გაძლიერდა და მასობრივი ხასიათი მიიღო. მაროდორობა და და ამ სოფლების უმეტესობის გადაწვა ქაოტურად გრძელდებოდა სექტემბერშიც, ზოგ სოფელში კი ოქტომბერსა და ნოემბერშიც.

ოსურმა სამხედრო ძალებმა, სულ ცოტა, 159 ეთნიკური ქართველი აიყვანეს (ზოგი მათგანი საქართველოს არასადავო ტერიტორიიდან გაიტაცეს), რომელთაგან მინიმუმ ერთი მოკლეს, თითქმის ყველა დანარჩენს კი სასტიკად ეპყრობოდნენ და ღირსების შემლახველ პირობებში ამყოფებდნენ. მათ ასევე სულ მცირე ოთხი ქართველი სამხედრო ტყვე აწამეს და სამი დახვრიტეს.

"Human Rights Watch"-ის მიერ ადგილზე ნანახმა, ასევე ათობით ადამიანთან გასაუბრებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების მიზანი იყო, ეთნიკურად გაეწმინდათ აღნიშნული ქართული სოფლები: ანუ ამ სოფლებში სახლების განადგურება ხორციელდებოდა მიზანმიმართულად, სისტემატურ ხასიათს ატარებდა და ამ სოფლების მოსახლეობის ეთნიკური და სავარაუდო პოლიტიკური კუთვნილების ნიშნის მიხედვით ხორციელდებოდა, რისი აშკარა მიზანიც იყო, აეძულებინა დარჩენილი მოსახლეობა, გაქცეულიყო და ველარასოდეს დაბრუნებოდა საკუთარ სახლებს.

### *საქართველოს არასადავო ტერიტორიებზე*

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დაწყებიდან სექტემბრის ბოლომდე სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები, ხშირად რუსული ჯარების თანდასწრებით, ატარებდნენ მიზანმიმართული ძალადობის კამპანიას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მასობრივად წვავენ და დარცხვენ მათ სახლებს, კლავდნენ, აუპატიურებდნენ, იტაცებდნენ და ხშირად სცემდნენ მოქალაქეებს.

### *კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები*

ორივე ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებმა და უკანონო შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა უხეშად დაარღვიეს ჰუმანიტარული სამართლის მრავალი ნორმა. მკვლელობა, გაუპატიურება, წამება, სასტიკი და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სახლებისა და ქონების თვითნებური განადგურება – ყველაფერი ეს მკაცრად იკრძალება როგორც ჰუმანიტარული სამართლით, ასევე წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სამართლის უხეშ დარღვევას და ასეთი ქმედებების ჩამდენთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ. ვინაიდან ნებისმიერი ზემოაღნიშნული აკრძალული ქმედება ჩადენილი იყო სამოქალაქო მოსახლეობაზე მასობრივი და სისტემატური თავდასხმების სახით, ეს



ქმედებები შეიძლება განიხილებოდეს როგორც დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი ასეთი ქმედება, აგრეთვე სხვა ქმედებები, როგორებიცაა დაპატიმრება, მშვიდობიანი მოქალაქეების უკანონო დაკავება, ძარცვა და სახლებისა და ქონების სრული განადგურება, ჩადენილი იქნა გარკვეული ჯგუფის (ამ შემთხვევაში ეთნიკური ქართველების) დისკრიმინაციის მიზნით, ეს ქმედებები წარმოადგენს დევნის დანაშაულს, რაც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით მისი ქვემდებარეა.

### **კასეტური იარაღის გამოყენება**

კონფლიქტის დროს როგორც საქართველომ, ასევე რუსეთმა გამოიყენეს კასეტური იარაღი, რაც ისეთი საბრძოლო მასალაა, რომელიც უშვებს ათობით პატარა ბომბს ანუ ასაფეთქებელ ნაწილაკს, და საკმაოდ დიდ სივრცეზე ფანტავს. ვინაიდან კასეტურ საბრძოლო მასალას კონკრეტულ მებრძოლებს ან იარაღს ვერ დაუმიზნებ, მისი დასახლებულ ადგილებში გამოყენების შემთხვევაში სამოქალაქო მსხვერპლი პრაქტიკულად გარანტირებულია. ამიტომ კასეტური საბრძოლო მასალის გამოყენება დასახლებულ ადგილებში მიჩნეული უნდა იქნეს არადამიზნებადი ხასიათის შეტევად, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევაა. კასეტური შეიარაღება საფრთხეს უქმნის მოქალაქეებს კონფლიქტის დასრულების შემდეგაც; ვინაიდან იერიშის მიტანისას ბევრი ასაფეთქებელი ნაწილაკი იმთავითვე არ ფეთქდება, კასეტური იარაღის გამოყენების შედეგად ხშირად მრავლად რჩება საშიში აუფეთქებელი პატარა ბომბი, რომლებიც შეხებისას ადვილად მოდის მოქმედებაში.

"Human Rights Watch"-მა ვერ შეძლო სათანადო კვლევის ჩატარება იმის დასადგენად, ატარებდა თუ არა საქართველოს მიერ კასეტური იარაღის გამოყენება არადამიზნებად ხასიათს. იარაღის გაუმართაობის ან ადამიანური შეცდომის გამო, ქართული მხარის მიერ გასროლილი კასეტური საბრძოლო მასალა საქართველოს არასადავო ტერიტორიებზე მანამდე დაეცა, სანამ ამ ტერიტორიებზე რუსული ჯარები

შემოვიდოდა, რის შედეგადაც სულ მცირე ერთი სამოქალაქო პირი დაიღუპა და ორი დაიჭრა. ანგარიშში ასევე ასახულია საქართველოს არასადავო ტერიტორიაზე მდებარე სამ სოფელში აუფეთქებელი კასეტური ბომბების კონტაქტზე გააქტიურების შედეგად სამი ადამიანის დაღუპვისა და ექვსის დაჭრის შემთხვევები.

ქართულმა მხარემ აღიარა კასეტური იარაღის გამოყენების ფაქტი და შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ჩაატარა საინფორმაციო კამპანია, რათა გაეფრთხილებინა მოსახლეობა იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც აუფეთქებელი ნაწილაკები შეიცავს.

რუსეთი არ აღიარებს კასეტური იარაღის გამოყენების ფაქტს. რუსი სამხედროების მიერ კასეტური საბრძოლო მასალის გამოყენება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთით, გორისა და ქარელის რაიონების დასახლებულ პუნქტებში მოხდა. ამ დარტყმების დროს სულ მცირე 12 მოქალაქე დაიღუპა და 46 დაიჭრა. ყველა ეს იერიში არადაძინებად ხასიათს ატარებდა.

რუსეთი და საქართველო უნდა შეუერთდნენ იმ 95 ქვეყანას, რომლებმაც ხელი მოაწერეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას კასეტური იარაღის აკრძალვის შესახებ. ეს კონვენცია აღნიშნული იარაღის გამოყენების ყოველსადაცველ აკრძალვას აწესებს. რუსეთმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა დაეხმაროს გამწვანებულ ორგანიზაციებს ნაღმების უვნებელყოფაში და გაავრცელოს ინფორმაცია შესაძლო საფრთხის შესახებ იმ ადგილებში, სადაც ეს ნაღმები შეიძლება იყოს რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, ხოლო საქართველომ ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა უნდა გააღრმავოს.

### **საერთაშორისო გამოხმაურება**

მას შემდეგ, რაც კონფლიქტი დასრულდა, ევროკავშირმა, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) და ევროპის საბჭომ აამოქმედეს მექანიზმები სამხრეთ ოსეთში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ადამიანის

უფლებების მხრივ სიტუაციის მონიტორინგისთვის და უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობისათვის. რუსეთმა და საქართველომ სრულად უნდა ითანამშრომლონ ამ ორგანიზაციებთან. კერძოდ, რუსეთის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ამ მთავრობათაშორისი ორგანიზაციების შეუფერხებელი დაშვება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რათა მათ შეძლონ ამ ინციატივების სრულად განხორციელება.

2008 წლის ბოლოს რუსეთმა უარი თქვა საქართველოში ეუთო-ს მისიის ყოფნისათვის საბიუჯეტი სახსრების დამტკიცებაზე. იგი მოითხოვდა ამ ორგანიზაციისაგან, საქართველოს დანარჩენი ნაწილისაგან დამოუკიდებლად შეესრულებინა თავისი სამუშაო საქართველოს ორ სეპარატისტულ რეგიონში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. წინამდებარე ანგარიშის მომზადების დროს ეუთო-ს ოფისები საქართველოში დახურვის რეჟიმში იმყოფებოდა. "Human Rights Watch"-ი მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, გადახედოს თავის გადაწყვეტილებას და ხელი შეუწყოს ეუთო-ს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლას.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ, როგორც საქართველოს ერთ-ერთმა ახლო მოკავშირემ, ზეწოლა უნდა მოახდინოს საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა მან გამოიძიოს ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ფაქტები და ამ ფაქტებზე პასუხისმგებლობა უზრუნველყოს, ასევე, მოსთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას, ითანამშრომლოს სხვადასხვა მთავრობათაშორისი ორგანიზაციის გამოძიებასთან. ევროკავშირმა და აშშ-მ, როგორც უსაფრთხოებისა და დევნილთა დაბრუნების საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეებმა, უნდა მოუწოდონ რუსეთს, შეასრულოს მისი ვალდებულება და ხელი შეუწყოს სამხრეთ ოსეთში დევნილთა დაბრუნებას.

## რეკომენდაციები

### საქართველოს ხელისუფლებას

#### პასუხისმგებლობა

- გამოიძიოს და პასუხი აგებინოს იმ პირებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, რომლებმაც ჩაიდინეს ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გამოძიება უნდა იყოს სწრაფი, საფუძვლიანი, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და საჯარო.
- უზრუნველყოს კომპენსაცია საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით გამოწვეული ზიანისა და ნგრევისათვის.

#### თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

- სრულად ითანამშრომლოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო საგამომიებო კომისიასთან, მისცეს კომისიის ყველა ექსპერტსა და თანამშრომელს დაუბრკოლებელი შესაძლებლობა, შეხვდნენ ყველა საჭირო პირს საქართველოში და მიიღონ მთელი აუცილებელი ინფორმაცია.
- გააგრძელოს თანამშრომლობა ევროკავშირისა და ეუთო-ს მონიტორინგის მისიებთან, სანამ ისინი საქართველოს არასადავო ტერიტორიებზე რჩებიან.
- სრულად ითანამშრომლოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დარღვევების თაობაზე საქართველოს წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილ პოტენციურ სარჩელებთან დაკავშირებით.
- სრულად განახორციელოს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ მოთხოვნილი გარანტიები.

#### კასეტური შეიარაღების აკრძალვა

- ხელი მოაწეროს კონვენციას კასეტური შეიარაღების აკრძალვის შესახებ და მოახდინოს მისი რატიფიცირება.

- კასეტური შეიარაღების აკრძალვის შესახებ კონვენციის რატიფიცირებამდე მიიღოს ზომები სამოქალაქო პირთა სიცოცხლის დასაცავად, მათ შორის, აკრძალოს კასეტური შეიარაღების გამოყენება დასახლებულ ადგილებში, დააწესოს აკრძალვა ან მორატორიუმი კასეტური შეიარაღების წარმოებასა და გაყიდვაზე და დაიწყოს მარაგების განადგურება.
- ყველა ღონე იხმაროს, რათა უფრო აქტიურად დაეხმაროს გამწვანებულ ორგანიზაციებს საქმიანობაში და გაავრცელოს ინფორმაცია შესაძლო საფრთხის შესახებ იმ ადგილებში, სადაც ეს „ნაღმები“ შეიძლება იყოს, დაუბრკოლებლად დაუშვას აღნიშნული ორგანიზაციები ამ ტერიტორიებზე და მიაწოდოს განხორციელებული იერიშის ზუსტი რუკები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამოქალაქო მოსახლეობის დაზიანება და უბედური შემთხვევები.
- გააგრძელოს საჯარო საინფორმაციო კამპანიების წარმოება აუფეთქებელ ნაწილაკებთან დაკავშირებით.

### *დევნითა დაცვა და დახმარება*

- ყველა ღონე იხმაროს, რათა უზრუნველყოს კონფლიქტის შედეგად ყველა დევნილი ადამიანის დაცვა და რეგულარული დახმარება. ეს მოიცავს (მაგრამ არა მხოლოდ):
  - სათანადო საცხოვრებლის, კვების, სამედიცინო მომსახურების, ბავშვებისათვის სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფას და სხვა სახის დახმარებას დევნილთათვის;
  - კონკრეტული ზომების მიღებას, რათა დევნილებმა მონაწილეობა მიიღონ მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში;
  - დევნილთა ინფორმირებას მათ უფლებებზე – მოხდეს მათი დაბრუნება საკუთარ სახლებში, გადასახლება სხვა ადგილებში ან ინტეგრაცია ადგილობრივ საზოგადოებასთან, მათი სურვილის მიხედვით, და აღნიშნულ უფლებათა მაქსიმალური რეალიზების ხელშეწყობას.

### **რუსეთის ხელისუფლებას**

#### *დევნითა დაბრუნება*

- საჯაროდ აღიაროს და განახორციელოს კონფლიქტის შედეგად დევნილი ყველა ადამიანის (მათ შორის, ეთნიკური ქართველების) უფლება –

უსაფრთხოდ და ღირსეულად დაუბრუნდნენ და იცხოვრონ საკუთარ სახლებში სამხრეთ ოსეთში და მიიღოს ზომები მათთვის დაბრუნების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

- დაარწმუნოს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება, საჯაროდ აღიაროს ყველა ადამიანის (მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობის ან სავარაუდო პოლიტიკური შეხედულებების) უფლება – უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნდნენ და იცხოვრონ საკუთარ სახლებში სამხრეთ ოსეთში, და ხელი შეუწყოს მათ დაბრუნებას. ეს ეხება სამხრეთ ოსეთის იმ სოფლების მაცხოვრებელთაც, რომლებსაც კონფლიქტამდე თბილისი აკონტროლებდა.
- მიიღოს ზომები კონფლიქტის შედეგად დევნილი ყველა ადამიანის დასაბრუნებლად, მათ შორის სამხრეთ ოსეთის იმ სოფლების მაცხოვრებელთა დასაბრუნებლადაც, რომლებსაც კონფლიქტამდე თბილისი აკონტროლებდა, უზრუნველყოს უსაფრთხოება, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, და რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით გამოწვეული ზიანისა და ნგრევის ანაზღაურება.

### *უსაფრთხოება და პასუხისმგებლობა*

- რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა უზრუნველყონ ყველა იმ ადამიანის უსაფრთხოება (მიუხედავად მათი ეროვნებისა), რომლებიც სამხრეთ ოსეთის იმ ტერიტორიებზე ცხოვრობენ, რომლებსაც რუსეთი აკონტროლებს. კერძოდ, დაუყოვნებლივ ბოლო მოეღოს ოსური უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ თავდასხმებს და მაროდობას ახალგორის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ.
- უზრუნველყოს ყველა იმ პირის პასუხისმგებლობაში მიცემა, ვინც ჩაიდინა დანაშაულები სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ყველა ადამიანის, მათ შორის ეთნიკური ქართველის წინააღმდეგ.
- გამოიძიოს და პასუხისმგებლობაში მისცეს ის პირები რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებში, ვინც დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, რაც წინამდებარე ანგარიშში დოკუმენტურად არის დადასტურებული.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გამოიყენება უნდა იყოს სწრაფი, საფუძვლიანი, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და საჯარო.

### *თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათი დაშვების უზრუნველყოფა*

- ითანამშრომლოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო საგამოძიებო კომისიასთან, მისცეს კომისიის ყველა ექსპერტსა და თანამშრომელს დაუბრკოლებელი შესაძლებლობა, შეხვდნენ ყველა საჭირო პირს სამხრეთ ოსეთში და მიიღონ მთელი საჭირო ინფორმაცია.
- ევროკავშირის მონიტორინგის მისიას მისცეს შესაძლებლობა, იმუშაოს სამხრეთ ოსეთში და ითანამშრომლოს ამ მისიასთან.
- გადასინჯოს საქართველოში ეუთო-ს საქმიანობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება და ხელი შეუწყოს ეუთო-ს მიერ სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს არასადავო ტერიტორიების მონიტორინგს.
- სრულად განახორციელოს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ მოთხოვნილი გარანტიები.
- სრულად ითანამშრომლოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დარღვევების თაობაზე რუსეთის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილ პოტენციურ სარჩელებთან დაკავშირებით.

### *კასეტური შეიარაღების აკრძალვა*

- ხელი მოაწეროს კონვენციას კასეტური შეიარაღების აკრძალვის შესახებ და მოახდინოს მისი რატიფიცირება.
  - კასეტური შეიარაღების აკრძალვის შესახებ კონვენციის რატიფიცირებამდე მიიღოს ზომები სამოქალაქო პირთა სიცოცხლის დასაცავად, მათ შორის, აკრძალოს კასეტური შეიარაღების გამოყენება დასახლებულ ადგილებში, დააწესოს აკრძალვა ან მორატორიუმი კასეტური შეიარაღების წარმოებასა და გაყიდვაზე და დაიწყოს მარაგების განადგურება.
- ყველა ღონე იხმაროს, რათა უფრო აქტიურად დაეხმაროს გამწვანებულ ორგანიზაციებს ნაღმების უვნებელყოფაში და გაავრცელოს ინფორმაცია

შესაძლო საფრთხის შესახებ იმ ადგილებში რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, სადაც ეს ნაღმები შეიძლება იყოს, დაუბრკოლებლად დაუშვას აღნიშნული ორგანიზაციები ამ ტერიტორიებზე და მიაწოდოს განხორციელებული იერიშის ზუსტი რუკები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამოქალაქო მოსახლეობის დაზიანება და უბედური შემთხვევები.

## სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას

- საჯაროდ განაცხადოს, პატივი სცეს და განახორციელოს კონფლიქტის შედეგად ყველა დევნილი პირის (მათ შორის, ეთნიკური ქართველების) უფლება – უსაფრთხოდ და ღირსეულად დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს სამხრეთ ოსეთში, და ხელი შეუწყოს მათ დაბრუნებას.
  - უზრუნველყოს ყველა მაცხოვრებლისთვის ფინანსური და მატერიალური დახმარების თანაბარი მისაწვდომობა, მიუხედავად მათი ეროვნებისა.
- უზრუნველყოს სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ყველა ადამიანის უსაფრთხოება, მიუხედავად მათი ეროვნებისა. კერძოდ, ბოლო მოუღოს ოსური უკანონო შეიარაღებული ფორმირებების თავდასხმებისა და მაროდღობის ფაქტებს სამხრეთ ოსეთის ახალგორის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ.
- ითანამშრომლოს რუსეთთან და საქართველოსთან, რათა უზრუნველყოს დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.
- ითანამშრომლოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო საგამოძიებო კომისიასთან, მისცეს კომისიის ყველა ექსპერტსა და თანამშრომელს დაუბრკოლებელი შესაძლებლობა, შეხვდნენ ყველა საჭირო პირს სამხრეთ ოსეთში და მიიღონ მთელი აუცილებელი ინფორმაცია.
- ითანამშრომლოს მონიტორინგის ყველა მისიასთან, მათ შორის ევროკავშირის მისიასთან, რომელიც ამჟამად მუშაობს საქართველოს არასადავო ტერიტორიებზე, და დაუშვას ისინი სამხრეთ ოსეთში.
- სრულად განახორციელოს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ მოთხოვნილი გარანტიები.



## ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო საგამოძიებო კომისიას

- ყველა ღონე იხმაროს, რათა მოიპოვოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ყველა რეგიონში დაშვების უფლება. საჭიროების შემთხვევაში საჯაროდ განაცხადოს კომისიასთან თანამშრომლობაზე ამა თუ იმ მხარის უარის შესახებ.
- უზრუნველყოს, რომ ყველა მოწმე და მსხვერპლი, ასევე სხვა პირები, ვინც კომისიას ინფორმაციას აწვდის, დაცული იყოს რეპრესიებისგან.
- უზრუნველყოს, რომ კომისიის საბოლოო ანგარიშში შევიდეს კონფლიქტის ყველა მხარისათვის განკუთვნილი დეტალური რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად დაისახავს მომავალში ადამიანის უფლებათა დარღვევების თავიდან აცილებას და მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებისა და კომპენსაციის უზრუნველყოფას.
- შეეცადოს, კომისიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღებინოს ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე ადგილობრივ იურისტებსა და სხვა ექსპერტებს, და ისარგებლოს მათი გამოცდილებით.

## ევროპის საბჭოს

- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საფუძვლიანი მონიტორინგი უნდა გაუწიოს რუსეთისა და საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, განსაკუთრებული ყურადღება კი მიაპყროს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და მას შემდეგ, ასევე რუსეთისა და საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1633 დადგენილებაში მოცემულ რეკომენდაციათა შესრულებას.<sup>2</sup>
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1633 დადგენილების შესაბამისად, საპარლამენტო ასამბლეის ბიურომ უნდა უზრუნველყოს, რომ ასამბლეას მისი უფლებამოსილი კომიტეტების, მათ შორის მონიტორინგის, ადამიანის უფლებათა, პოლიტიკურ საქმეთა და მიგრაციისა და ლტოლვილთა

---

<sup>2</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, „საქართველოსა და რუსეთს შორის იმის შედეგები“, დადგენილება 1633 (2008), <http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/tao8/ERES1633.htm> (მომიებულია 2008 წლის 23 დეკემბერს).

კომიტეტების მიერ რეგულარულად მიეწოდებოდა ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარ დარღვევებზე და რომ ასამბლეამ გააფართოოს მონიტორინგის თავისი პროცედურა როგორც რუსეთთან, ისე საქართველოსთან დაკავშირებით.

- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1633 დადგენილების შესაბამისად, ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა განიხილოს, ადამიანის უფლებათა კომისართან შესაძლო თანამშრომლობით, საბჭოს საგანგებო, ადამიანის უფლებათა სფეროში საბუთო მისიის ჩამოყალიბების საკითხი. ეს მისია დაურბკოლებლად უნდა დაუშვან ომით დაზარალებულ ყველა ტერიტორიაზე.
- ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა უნდა გააგრძელოს საქართველოში, მათ შორის სამხრეთ ოსეთში, რეგულარული მისიებით ჩამოსვლა, რათა შეაფასოს ყველა მხარის მიერ იმ რეკომენდაციების შესრულება, რომლებიც ჩამოყალიბებულია კომისიის 2008 წლის სექტემბრის პრინციპებში საქართველო-რუსეთის შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ადამიანის უფლებათა გადაუდებელ დაცვასთან დაკავშირებით.<sup>3</sup> ეს პრინციპები მოუწოდებს ყველა მხარეს, უზრუნველყონ: დაბრუნების უფლება ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც გაიქცა ან იძულებით მოუხდა გადაადგილება; სათანადო საცხოვრებელი და სხვაგვარი მხარდაჭერა დევნილთათვის; სამოქალაქო პირთა დაცვა ფიზიკური თავდასხმებისა და მაროდორობისგან; და კონფლიქტის ზონაში მომუშავე საერთაშორისო უწყებებთან თანამშრომლობა და მათთვის დახმარების გაწევა.

## ევროკავშირს

- გააგრძელოს სრული პოლიტიკური და მატერიალური მხარდაჭერის გაწევა საერთაშორისო საგამოძიებო კომისიისათვის, მოუწოდოს კონფლიქტის ყველა მხარეს, ითანამშრომლონ კომისიასთან და უზრუნველყონ კომისიისთვის

---

<sup>3</sup> ევროპის საბჭო, „საგანგებო მისია საქართველოში, მათ შორის სამხრეთ ოსეთში. დასკვნების შეჯამება.“ CommDH(2008)30, 2008 წლის 30 სექტემბერი, <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1347631&Site=CommDH&BackColorInternet=FEC65B&BackColorIntranet=FEC65B&BackColorLogged=FFC679> (მოძიებულია 2008 წლის 23 დეკემბერს)

შესაბამისი რესურსები საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი გამოძიების ჩასატარებლად.

- დაარწმუნოს რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებები, ასევე სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაცია, შეასრულონ ზემოთ ჩამოყალიბებული რეკომენდაციები; რუსეთთან და საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავების პირობად მათ მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება წამოაყენოს.
- ჟენევის მოლაპარაკების (რომელსაც ერთობლივად უმასპინძლეს ევროკავშირმა, ეუთო-მ და გაერო-მ) კონტექსტში პრიორიტეტად დასახოს უსაფრთხოებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემოღება კონფლიქტის შემდეგად და მის შემდგომ პერიოდში ყველა დევნილი პირის სამხრეთ ოსეთში დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით.
- საქართველოსთვის გამიზნული ფინანსური და სხვა სახის დახმარების გამოყოფის წინაპირობად წამოაყენოს საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო საგამოძიებო კომისიასთან, რომელიც სამხრეთ ოსეთში განვითარებულ კონფლიქტს იძიებს.
- საქართველოსთვის გამიზნული ფინანსური და სხვა სახის დახმარების გამოყოფის წინაპირობად წამოაყენოს საქართველოს მიერ წარმატების მიღწევა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის განმავლობაში სავარაუდოდ ჩადენილი დარღვევების გამოძიებაში, ასევე მნიშვნელოვანი წინსვლა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.
- უზრუნველყოს, რომ სახელმწიფოებმა განახორციელონ იურისდიქცია, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, საყოველთაო იურისდიქცია საერთაშორისო სამართლის მიხედვით დანაშაულების, მათ შორის კონფლიქტის განმავლობაში ჩადენილი სამხედრო დანაშაულების, ჩადენაში ეჭვმიტანილთა მიმართ.
- მხარი დაუჭიროს კასეტური შეიარაღების აკრძალვის შესახებ კონვენციას: ბოლო მოუღოს ყველანაირი კასეტური შეიარაღების გამოყენებას, მარაგის დაგროვებას და გავრცელებას როგორც კერძო კომპანიებისა და პირების, ისე სახელმწიფოების მიერ.

## ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას

- გააგრძელოს სრული მხარდაჭერის გაწევა საერთაშორისო საგამოძიებო კომისიისათვის, მოუწოდოს კონფლიქტის ყველა მხარეს, ითანამშრომლონ კომისიასთან და უზრუნველყონ კომისიისთვის შესაბამისი რესურსები საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი გამოძიების ჩასატარებლად.
- საქართველოსთვის გამიზნული ფინანსური და სხვა სახის დახმარების გამოყოფის წინაპირობად წამოაყენოს საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო საგამოძიებო კომისიასთან, რომელიც სამხრეთ ოსეთში განვითარებულ კონფლიქტს იძიებს.
- საქართველოსთვის გამიზნული ფინანსური და სხვა სახის დახმარების გამოყოფის წინაპირობად წამოაყენოს საქართველოს მიერ წარმატების მიღწევა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის განმავლობაში სავარაუდოდ ჩადენილი დარღვევების გამოძიებაში, ასევე მნიშვნელოვანი წინსვლა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.